თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო **კონსერვატორია**

ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსი დამტკიცებულია
წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

ოქმი № 05
თარიღი: 29 აპრილი, 2022

თბილისი, 2022 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები ---------- 3
მუხლი 2. კოდექსის მოქმედების ფარგლები ---------- 3
მუხლი 3. კოდექსის მიზნები ---------- 3
მუხლი 4. კოდექსის ფუნდამენტური ღირებულებები, პრინციპები და სტანდარტები ------- 4
მუხლი 5. ეთიკის კოდექსის დარღვევა კონსერვატორიის პერსონალის, სტუდენტისა და კონსერვატორიასთან დაკავშირებული პირის მიერ ---------- 5
მუხლი 6. კონსერვატორიის პერსონალისა და სტუდენტთა ეთიკის სტანდარტები ---------- 6
მუხლი 7. ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენა ---------- 8
მუხლი 8. დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძვლები ---------- 8
მუხლი 9. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანო ---------- 9
მუხლი 10. ეთიკის კომისიის/ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობის პრინციპები ---------- 9
მუხლი 11. ეთიკის კომისიის შემადგენლობა ---------- 9
მუხლი 12. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ---------- 11
მუხლი 13. ეთიკის კომისიის მდივანი ---------- 11
მუხლი 14. ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვის ფარგლები და ვადები ---------- 11
მუხლი 15. საჩივარი დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ---------- 12
მუხლი 16. საჩივრის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა ---------- 12
მუხლი 17. საჩივრის წარდგენა და რეგისტრაცია ---------- 13
მუხლი 18. საჩივრის განსახილველად მიღება/მიღებაზე უარის თქმა ---------- 13
მუხლი 19. კომისიის წევრის აცილების/თვითაცილების საკითხის განხილვა ---------- 13
მუხლი 20. დისციპლინური საქმისწარმოების შეჩერება ---------- 13
მუხლი 21. დისციპლინური საქმის განსახილველად მომზადება ---------- 14
მუხლი 22. ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვა ---------- 14
მუხლი 23. ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი ---------- 15
მუხლი 24. ეთიკის კომისიის დასკვნა ---------- 16
მუხლი 25. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები ---------- 16
მუხლი 26. გადაწყვეტილება ---------- 17
მუხლი 27. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნა ---------- 18
მუხლი 28. დისციპლინური საქმის წარმოება სტუდენტის მიმართ ---------- 18
მუხლი 29. დასკვნითი დებულებანი ---------- 20

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში „კონსერვატორია“) ეთიკის კოდექსი (შემდგომში „კოდექსი“) შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, კონსერვატორიის წესდების, „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 12.11.2021 წლის № 125/2021 და წარმომადგენლობითი საბჭოს 29.11.2021 წლის № 42/2021 დადგენილებებისა და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
2. კოდექსით განისაზღვრება კონსერვატორიაში საქმიანობის პრინციპები, ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები, ქცევის სავალდებულო ნორმები, დისციპლინური გადაცდომის პირობები, მათი წარმოების პროცედურები და წესები;
3. წინამდებარე კოდექსი კონსერვატორიის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შემადგენელი, განუყოფელი ნაწილია და სავალდებულოა შესასრულებლად;
4. კოდექსი მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. კოდექსის ან/და მისი ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა, კოდექსში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
5. კოდექსი შემუშავებულია და გაზიარებულია კონსერვატორიის საზოგადოების მიერ.

მუხლი 2. კოდექსის მოქმედების ფარგლები

კოდექსი განკუთვნილია კონსერვატორიის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, კონცერტმაისტერების/კორრეპეტიტორების, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისათვის, ასევე კონსერვატორიასთან ვადიან ან უვადო სამართლებრივ ურთიერთობებში მყოფი სხვა პირებისათვის. (შემდგომში - ,,პერსონალი“, ,,სტუდენტები“ და ,,კონსერვატორიასთან დაკავშირებული პირი“).

მუხლი 3. კოდექსის მიზნები

ამ კოდექსის მიზანია სამართლიანობის, თანასწორობის, კეთილსინდისიერების, სხვისი აზრის პატივისცემის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და პატიოსნების პრინციპების ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ კონსერვატორიის პერსონალმა, სტუდენტებმა, კონსერვატორიასთან დაკავშირებულმა პირებმა და კონსერვატორიის სტუმრებმა.

მუხლი 4. კოდექსის ფუნდამენტური ღირებულებები, პრინციპები და სტანდარტები

1. პერსონალი და სტუდენტები თანაბრად სარგებლობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კონსერვატორიის წესდებით, წინამდებარე კოდექსითა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით მათთვის მინიჭებული უფლებებით;
2. კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ პირებს შორის უნდა არსებობდეს თანასწორობაზე, კეთილსინდისიერებაზე, ნდობაზე, პასუხისმგებლობაზე, პატივისცემაზე, სამართლიანობასა და აკადემიურ თავისუფლებაზე დაფუძნებული ურთიერთობა, სადაც დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია და შევიწროება;
3. პერსონალისა და სტუდენტთა საქმიანობა ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში კონსერვატორიის სახელისა და ავტორიტეტის დაცვა-განმტკიცებას;
4. პერსონალი პროფესიული ვალდებულების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი, მიუკერძოებელია და ემორჩილება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, კონსერვატორიის სამართლებრივ დოკუმენტებსა და წინამდებარე კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს;
5. კონსერვატორიის სტუდენტი, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნება, პასუხისმგებელია საკუთარ ქცევასა და მის შედეგებზე, იზიარებს წინამდებარე კოდექსითა და კონსერვატორიის სხვა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებულ დებულებებს და განუხრელად იცავს მათ;
6. კოდექსი ემყარება აკადემიური თავისუფლების პრინციპს, რაც გულისხმობს პერსონალისა და სტუდენტთა უფლებასნ დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა/შემოქმედება და სწავლა კონსერვატორიის მისიით, სტრატეგიული განვითარების გეგმითა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულ კონტექსტსა და ფარგლებში;
7. კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ყველა პირი აღიარებს კონსერვატორიის უფლებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება;
8. კონსერვატორიის სტუმრებისა და სხვა პირთა მიერ წინამდებარე კოდექსის მოთხოვნათა დარღვევასთან დაკავშირებით, კონსერვატორია უფლებამოსილია იმსჯელოს და იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9. კოდექსი საჯარო და ხელმისაწვდომია კონსერვატორიის ვებ-გვერდის საშუალებით. კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ყველა პირი ვალდებულია, გაეცნოს და დაიცვას ეთიკის კოდექსი. ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებზე ინფორმაციის არქონა არ ათავისუფლებს პერსონალსა და სტუდენტებს პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 5. ეთიკის კოდექსის დარღვევა კონსერვატორიის პერსონალის, სტუდენტისა და კონსერვატორიასთან დაკავშირებული პირის მიერ

კონსერვატორიის პერსონალის, სტუდენტისა და კონსერვატორიასთან დაკავშირებული პირის მიერ ეთიკის საერთო წესების დარღვევად მიიჩნევა კონსერვატორიის ტერიტორიაზე და მის გარეთ (კონსერვატორიის ან სტუდენტების მიერ ორგანიზებულ აკადემიურ ან სხვა ტიპის ღონისძიებაზე) განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე და დერეფანში ხმაური; ლექციაზე მობილური ტელეფონით სარგებლობა; სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ვიდეო/აუდიო გადაღება და ე.წ. სთრიმინგი, ანუ პირდაპირ ეთერში გადაცემა აუდიტორიის თანხმობის გარეშე და მისთ.);
2. თამბაქოს/ელექტრო სიგარეტის მოწევა კონსერვატორიის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
3. ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება კონსერვატორიის ტერიტორიაზე, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული კონსერვატორიის მიერ;
4. ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;
5. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა;
6. ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
7. აზარტული თამაშების ორგანიზება ან/და მათში მონაწილეობის მიღება;
8. დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა;
9. კონსერვატორიის ტერიტორიის დანაგვიანება;
10. დემონსტრაციული ბილწსიტყვაობა, დამცირება, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, აშკარა უპატივისმცემულობა, არაკორექტული ქმედება, არაკოლეგიალური კომუნიკაცია;
11. სხვა პირის მიმართ ძალადობა - ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება, მათ შორის, აკადემიური საკითხების გადაწყვეტის მიზნით;
12. დოკუმენტებისა და ინფორმაციის შეგნებულად გაყალბება;
13. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევა, რაც დადგენილია „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ აქტით;
14. დისკრიმინაცია - განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა, ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსულაური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, სხვა

შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით; და ამ საფუძვლებით განპირობებული არასასურველი ქცევა - შევიწროება;

15. სექსუალური შევიწროება - პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა (სიტყვიერი თუ არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა), რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს;
16. კონსერვატორიის დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, ფაქტი სამსახურშია მომხდარი თუ მის გარეთ;
17. კონფიდენციალური ინფორმაციის უნებართვო შესწავლა ან ისეთი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება და გავრცელება, რომელიც პერსონალისთვის ცნობილი გახდა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;
18. კონსერვატორიის საინფორმაციო წყაროების/საშუალებების არამიზნობრივი გამოყენება, მათ შორის, კომპიუტერული თამაშებით სარგებლობა და სხვ;
19. კონსერვატორიის სახელით იმ ქმედებების განხორციელება, რომელიც სცდება დასაქმებულის უფლებამოსილების ფარგლებს (გარდა იმ ქმედებისა, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს);
20. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება პოლიტიკური პარტიების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროპაგანდის ან ინტერესების სასარგებლოდ;
21. ამ კოდექსით გათვალისწინებული პირების მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის შესახებ ინფორმაციის უგულველყოფა;
22. სხვა ნებისმიერი სახის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ეთიკის ნორმებს და ხელს უშლის სასწავლო და სამუშაო პროცესის მიმდინარეობას.

მუხლი 6. კონსერვატორიის პერსონალისა და სტუდენტთა ეთიკის სტანდარტები

1. **კონსერვატორიის საგანმანათლებლო, საშემსრულებლო და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პერსონალი ვალდებულია:**

   1.1. არ დააგვიანოს და არ გააცდინოს არასაპატიო მიზეზით ლექციები და სხვა სახის სასწავლო-კვლევითი კომპონენტის/შემოქმედებითი ღონისძიებები, ხოლო საპატიო მიზეზის არსებობისას, კონსერვატორიის შინაგანაწესით დადგენილი წესების დაცვით, გააფრთხილოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი დაგვიანების ან/და გაცდენის შესახებ;

   1.2. ლექცია-მეცადინეობები ჩაატაროს დროულად, დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყოს ჯეროვნად მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული. სწავლებისათვის განკუთვნილი დრო გამოიყენოს მაქსიმალურად ეფექტიანად სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. არ დაუშვას ლექციის/მეცადინეობის დროზე ადრე დასრულება;

   1.3. კომპეტენციის ფარგლებში გასცეს ამომწურავი პასუხი სტუდენტების კითხვებსა თუ წერილობით შეტყობინებებს სამუშაო და საკონსულტაციო საათების განმავლობაში. დანიშნულ დროსა და დადგენილი წესის შესაბამისად ჩაატაროს გამოცდა და შეაფასოს ყველა გამოცხადებული სტუდენტის ცოდნა და უნარები;

1.4. გამოიჩინოს თანასწორი დამოკიდებულება ყველა სტუდენტის მიმართ, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული, ენობრივი, მსოფლმხედველობრივი და სხვა კუთვნილებისა;

1.5. არ ჩაუტაროს საკუთარ მოქმედ სტუდენტს კერძო გაკვეთილი ანაზღაურების სანაცვლოდ და სტუდენტის შეფასებისას იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი;

1.6. არ მიიღოს სტუდენტისაგან საჩუქარი ან სხვა სახის სარგებელი სტუდენტის მაღალი შეფასებისა თუ მისთვის უპირატესობის მინიჭების (ლობირების) სანაცვლოდ; უარი თქვას საჩუქრის მიღებაზე, რომელიც შესაძლოა აღქმულ იქნეს გავლენის მოხდენად მის საქმიანობაზე, ეჭვქვეშ დააყენებს მის კეთილსინდისიერებას, ზიანს მიაყენებს და შელახავს მისი და კონსერვატორიის რეპუტაციას;

1.7. დაიცვას სტუდენტების, კოლეგების თუ სწავლების პროცესში ჩართული პირების შესახებ კონფიდენციალობა, თუ ინფორმაციის გამჟღავნება იურიდიულად არ არის გამართლებული;

1.8. არ მიაყენოს სტუდენტს ან კოლეგას პატივისა და ღირსების შემლახველი, დამამცირებელი, სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა;

1.9. პატივი სცეს კოლეგის აკადემიურ დამოუკიდებლობას და იხელმძღვანელოს წინამდებარე კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ძირითადი ღირებულებებით კოლეგის საგანმანათლებლო, საშემსრულებლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასებისას; დაუშვებელია კოლეგის დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი და/ან ცილისმწამებლური გამონათქვამები და ქმედებები როგორც საჯაროდ (მათ შორის სტუდენტის თანდასწრებით), ასევე, ანონიმურად.

1.10. პატივი სცეს კონსერვატორიის სახელსა და საქმიან რეპუტაციას, გაუფრთხილდეს მის ქონებას და მიზანობრივად გამოიყენოს მისი რესურსები;

1.11. დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, კონსერვატორიის წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და სხვა აქტები.

2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ვალდებულია:

2.1. კონსერვატორიის საჭიროებებისათვის ეფექტიანად გამოიყენოს ინსტიტუციის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები სასწავლო, შემოქმედებითი, სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი კეთილსაიმედო გარემოს შესაქმნელად;

2.2. თანამშრომლებსა და სტუდენტებთან ურთიერთობისას იხელმძღვანელოს წინამდებარე კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ძირითადი ღირებულებებით. დაუშვებელია თანამშრომლისა და სტუდენტის მიმართ დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი და/ან ცილისმწამებლური გამონათქვამები (მათ შორის სტუდენტის თანდასწრებით) და ქმედებები როგორც საჯაროდ, ასევე ანონიმურად;

2.3. არ გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის დროს სტუდენტების, კოლეგების თუ სწავლების პროცესში ჩართული პირების შესახებ მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, თუ ინფორმაციის გამჟღავნება იურიდიულად არ არის გამართლებული;

2.4. პატივი სცეს კონსერვატორიის სახელსა და საქმიან რეპუტაციას;

2.5. დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, კონსერვატორიის წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და სხვა აქტები.

3. **სტუდენტი ვალდებულია:**

3.1. კონსერვატორიის პერსონალსა და სტუდენტებთან ურთიერთობისას იხელმძღვანელოს წინამდებარე კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ძირითადი ღირებულებებით. დაუშვებელია კონსერვატორიის თანამშრომლისა და სხვა სტუდენტის მიმართ დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი და/ან ცილისმწამებლური გამონათქვამები და ქმედებები როგორც საჯაროდ, ასევე ანონიმურად;

3.2. პატივი სცეს კონსერვატორიის სახელსა და საქმიან რეპუტაციას, გაუფრთხილდეს მის ქონებას;

3.3. პატივი სცეს სხვა სტუდენტის სწავლისა და შემოქმედების უფლებას;

3.4. ხელი არ შეუშალოს ლექტორს/მასწავლებელს სასწავლო პროცესის წარმართვაში;

3.5. არ დააგვიანოს და გააცდინოს არასაპატიო მიზეზით მეცადინეობები/რეპეტიციები/კონცერტები და სხვა სავალდებულო სასწავლო ღონისძიებები;

3.6. სასწავლო პროგრამით განსაზღვრული დავალებები შეასრულოს დადგენილ ვადებში;

3.7. დაიცვას კონსერვატორიის წესდებით, კონსერვატორიის მარეგულირებელი დოკუმენტებით, ამ კოდექსითა და კონსერვატორიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი პირობები.

მუხლი 7. ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენა

1. კონსერვატორია ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს საგანმანათლებლო, საშემსრულებლო და კვლევითი საქმიანობის ეთიკურობას და პერსონალისა თუ სტუდენტების ქცევისა და ეთიკის საერთო წესების ყველა გამოვლენილ დარღვევაზე მოახდინოს დროული რეაგირება, განახორციელოს დისციპლინური საქმისწარმოება;
2. ამასთან პირი, რომლისთვისაც ცნობილი გახდა ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევის ფაქტის შესახებ, ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით მიმართავს დისციპლინური საქმის განმხილველ ორგანოს შესაბამისი რეაგირებისთვის.

მუხლი 8. დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძვლები

1. კონსერვატორიის ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის გამო, კონსერვატორიის პერსონალისა და სტუდენტების მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს:
   1.1. პირის, ვის მიმართაც განხორციელებულია არაეთიკური ქმედება, ან არაეთიკური ფაქტის მოწმის, ან სხვა დაინტერესებული პირის საჩივარი/განცხადება, გარდა ანონიმური საჩივრისა და განცხადებისა;
   1.2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია კონსერვატორიის პერსონალისა და სტუდენტის მიერ ისეთი ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც შეიძლება დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალოს;

1.3. დისციპლინური გადაცდომის ფაქტის აღმოჩენა ან გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს, რომ ადგილი აქვს კონსერვატორიის პერსონალისა თუ სტუდენტის მიერ კონსერვატორიის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს.

მუხლი 9. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანო

კონსერვატორიის ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტზე ხორციელდება დისციპლინური საქმისწარმოება:

1. კონსერვატორიის პერსონალის მიმართ დისციპლინურ საქმისწარმოებას ახორციელებს კონსერვატორიის ეთიკის კომისია;
2. სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევაზე საქმისწარმოებას ახორციელებს კონსერვატორიის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო;
3. სტუდენტის სექსუალური შევიწროების საკითხთან დაკავშირებული წარმოება, კონფიდენციალურობის დაცვის განსაკუთრებული საჭიროების გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის ფარგლებში. ამ კომისიის საქმიანობა განისაზღვრება ცალკე აქტით.

მუხლი 10. ეთიკის კომისიის/ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობის პრინციპები

1. ეთიკის კომისია/ფაკულტეტის საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, კოლეგიალობის, თანასწორობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებით;
2. ეთიკის კომისია/ფაკულტეტის საბჭო დისციპლინურ საქმეს განიხილავს მიუკერძოებლად და ობიექტურად, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით;
3. დისციპლინური წარმოების პროცესი კონფიდენციალურია. დისციპლინური ორგანოს წევრები ვალდებულნი არიან, დაიცვან იმ ინფორმაციის სრული კონფიდენციალობა, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა დისციპლინური გადაცდომის საქმისწარმოების დროს. ეთიკის კომისიის სხდომისა და დისციპლინური საქმის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროვება დასაშვებია დისციპლინური წარმოების ორივე დაინტერესებული მხარის წერილობითი მოთხოვნის/თანხმობის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კონფიდენციალობის დაცვა აუცილებელია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 11. ეთიკის კომისიის შემადგენლობა

1. კონსერვატორიის ეთიკის კომისია შედგება 5 წევრისაგან, საიდანაც თითო წევრს თავისი შემადგენლობიდან წარადგენს - აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, სტუდენტური თვითმმართველობა, ერთ კანდიდატს წარადგენს რექტორი და ერთს - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. კონსერვატორიის ეთიკის კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ კონსერვატორიის პერსონალის და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი;

2. კონსერვატორიის ეთიკის კომისიის წევრთა დამტკიცებისას კონსერვატორიის შესაბამისი მართვის ორგანოები და სტუდენტური თვითმმართველობა წარადგენენ ეთიკის კომისიის სარეზერვო წევრებს, რომელთა ჩართულობა ეთიკის კომისიის მუშაობაში მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაბამისი კვოტის გათვალისწინებით;
3. კონსერვატორიის ეთიკის კომისიის წევრი ინიშნება 2 წლის ვადით. ეთიკის კომისიის წევრად პირი შეიძლება დანიშნულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. კომისიის წევრის დანიშვნამდე საჭიროა მისი წერილობითი თანხმობა;
4. ეთიკის კომისიის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს კონსერვატორიის რექტორი;
5. კომისიის შემადგენლობაში, განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს კომპეტენტური პირი - გარე ან შიდა ექსპერტი. აკადემიურ კეთილსინდისიერებთან დაკავშირებით, ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული წესით;
6. ეთიკის კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის წევრთაგან ხმათა უმრავლესობით;
7. ეთიკის კომისიის მდივანი აირჩევა კომისიის წევრთაგან 2 წლის ვადით;
8. ეთიკის კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის სამი წევრი მაინც;
9. ეთიკის კომისიაში საქმიანობა არის უსასყიდლო და არ ანაზღაურდება;
10. ეთიკის კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის მიმართ ბოლო 2 წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა;
11. ეთიკის კომისიის წევრობისგან გათავისუფლების საფუძველია:
    ა) პირადი განცხადება;
    ბ) კონსერვატორიიდან (სამასახურიდან) გათვისუფლება;
    გ) დისციპლინური საქმის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება;
    დ) ეთიკის ნორმების დარღვევა ან/და სხვა დისციპლინური გადაცდომის ჩადენა;
    ე) სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა ან/და კონსერვატორიაში სასწავლო პროგრამის დასრულება;
12. ეთიკის კომისიის წევრობისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონსერვატორიის რექტორი, ეთიკის კომისიის ან/და წინამდებარე მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული მართვის ორგანოსა თუ სტუდენტური თვითმმართველობის წინადადების საფუძველზე. კომისიის წევრის ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში, კომისიის შემადგენლობაში ხორციელდება სარეზერვო წევრით შევსება, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, კონსერვატორიის შესაბამისი მართვის ორგანო ან სტუდენტური თვითმმართველობა წარუდგენს რექტორს კომისიის ახალი წევრის კანდიდატურას, არაუგვიანეს 1 კვირისა.
13. ეთიკის კომისიის წევრის აცილება/თვითაცილება:
    ეთიკის კომისის მიერ დისციპლინური საქმის განხილვაში არ მონაწილეობს კომისიის წევრი, თუ იგი ურთიერთდამოკიდებულებაშია პირთან, რომლის საკითხსაც განიხილავს ეთიკის კომისია. ურთიერთდამოკიდებულების არსებობისას საბჭოს წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილების შესახებ. წევრის აცილების საკითხის დაყენების ვალდებულება აქვს საქმის განხილვაში მონაწილე კომისიის

წევრს თუ მხარეს, რომლისთვისაც ცნობილია აცილების საფუძვლების შესახებ. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ურთიერთდამოკიდებულებად განიხილება:
ა) განსახილველი საკითხის შედეგით დაინტერესება;
ბ) პირთან ნათესაური, მეგობრული კავშირის არსებობა;
გ) ნებისმიერი სხვა გარემოების ან მდგომარეობის არსებობა, რაც წევრის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველია;

14. პირს, რომლის მიმართაც დაიწყო საქმის განხილვა, დისციპლინური გადაცდომის თაობაზე უფლებამოსილია მოითხოვოს ეთიკის კომისიის წევრის აცილება, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში.

მუხლი 12. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

1. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს კომისიის საქმიანობას;
გ) ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის ამ კოდექსით დადგენილი წესით;
დ) წარუდგენს კომისიას მდივნის კანდიდატურას;
ე) კოდექსით დადგენილი წესით იწვევს კომისიას, უძღვება მის სხდომებს, ხელს აწერს მიღებულ დასკვნასა და სხდომის ოქმს;
ვ) ახორციელებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;
2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ეთიკის კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარის მიერ უფლებამონაცვლედ განსაზღვრული პირი.

მუხლი 13. ეთიკის კომისიის მდივანი

1. ეთიკის კომისიის მდივანი:
ა) ახორციელებს კომისიის სხდომების მოსამზადებელ ღონისძიებებს;
ბ) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომის ოქმების წარმოებასა და გაფორმებას;
გ) ხელს აწერს კომისიის დოკუმენტებს კოდექსით გათვალისწინებული წესით;
დ) ორგანიზებას უწევს კომისიის ოფიციალური დოკუმენტაციის დაგზავნას;
ე) ახორციელებს სხვა მოქმედებებს, რაც აუცილებელია მისი მოვალეობის შესრულებისათვის.

მუხლი 14. ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვის ფარგლები და ვადები

1. ეთიკის კომისიას უფლება არა აქვს გასცდეს კონსერვატორიის ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ დისციპლინური გადაცდომის განხილვის ფარგლებს. კომისიას აგრეთვე არა აქვს უფლება კომისიის სხდომაზე არსებითი მსჯელობის საგნად აქციოს ის ფაქტები ან გარემოებები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება კონსერვატორიის ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ დისციპლინურ გადაცდომას;
2. ეთიკის კომისია დისციპლინურ საქმეს განიხილავს მისი მიღებიდან ერთი თვის ვადაში. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საქმის განხილვა შეჩერებულია ან გადადებულია, არ ჩაითვლება აღნიშნულ საერთო ვადაში;
3. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ამ შემთხვევაში

შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაზრდა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წარმოების დაწყებიდან 3 თვეს.

მუხლი 15. საჩივარი დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ

1. ეთიკის კომისიას საჩივარი წარედგინება წერილობითი ფორმით. საჩივრის ავტორს შეუძლია გამოიყენოს კონსერვატორიის ეთიკის კომისიის მიერ დამტკიცებული საჩივრის ფორმა (იხ. დანართი №1);
2. საჩივარი უნდა შეიცავდეს:
   ა) განმცხადებლის ვინაობას, მისამართს და საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა);
   ბ) განმცხადებლის წარმომადგენლის ვინაობას, მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა), თუ განმცხადებელს ჰყავს წარმომადგენელი. წარმომადგენლის მეშვეობით საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, საჩივარს უნდა ერთვოდეს სათანადო წესით დამოწმებული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა);
   გ) კონსერვატორიის იმ პერსონალის/სტუდენტის ვინაობას, რომლის წინააღმდეგაც არის საჩივარი წარდგენილი;
   დ) გარემოებებს, რომელსაც ეფუძნება საჩივარი;
   ე) მითითებას განმცხადებლის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც ადასტურებს საჩივარში მითითებულ გარემოებებს. მოწმეთა ვინაობის შესახებ ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მითითებას, თუ რომელი გარემოების დადასტურება შეუძლია მას. საჩივარში მითითებული მტკიცებულებები უნდა ერთვოდეს საჩივარს;
   ვ) განმცხადებლის ხელმოწერას.

მუხლი 16. საჩივრის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა

1. ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანა დასაშვებია ეთიკის კოდექსის შესაბამისი ნორმების დარღვევიდან 6 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდგომ საჩივარი არ განიხილება და შესაბამისად დისციპლინური საქმისწარმოება არ განხორციელდება. დადგენილი ვადის აღდგენა დასაშვებია, თუ ვადის დარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზითა თუ სხვა საპატიო მიზეზით;
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული დარღვევების მიმართ.

მუხლი 17. საჩივრის წარდგენა და რეგისტრაცია

1. საჩივრის წარდგენა ხდება ეთიკის კომისიის თავმჯდომარისთვის/მდივნისთვის კონსერვატორიის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ან/და ელ. ფოსტის საშუალებით;
2. კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მიზნით, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში საჩივარის რეგისტრაციისას შინაარსი მიეთითოს ზოგადი ჩანაწერის სახით;
3. საჩივარი, წარმოდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა კომისიის ყველა წევრს.

მუხლი 18. საჩივრის განსახილველად მიღება/მიღებაზე უარის თქმა

1. საჩივრის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში კომისია მსჯელობს საჩივრის დასაშვებობის - განსახილველად მიღების საკითხზე;
2. საჩივარი არ იქნება განსახილველად მიღებული, თუ:
   ა) საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში;
   ბ) საჩივარი წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
   გ) ეთიკის კომისიის წარმოებაშია დისციპლინური საქმე, ან არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე საქმეზე, იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლით;
   დ) საჩივარი არ შეიცავს ამ კოდექსით განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს.
3. საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ კომისია იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას;
4. საჩივრის განსახილველად მიღების ხელისშემშლელი გარემოების აღმოფხვრის შემდეგ პირს უფლება აქვს, განმეორებით მიმართოს ეთიკის კომისიას;
5. ვადა საჩივრის წარდგენიდან საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარებამდე, არ ჩაითვლება საჩივრის წარდგენის 3 თვიან ხანდაზმულობის ვადაში.

მუხლი 19. კომისიის წევრის აცილების/თვითაცილების საკითხის განხილვა

1. კომისიის წევრის აცილების/თვითაცილების საკითხს განიხილავს ეთიკის კომისია;
2. აცილების შუამდგომლობა დაკმაყოფილდება, თუ არსებობს ამ კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლები;
3. ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის განხილვის დროს ჩამოცილებული წევრის ადგილს იკავებს კომისიის სარეზერვო წევრი და კომისია საქმის განხილვას აგრძელებს აცილებული წევრის გარეშე;
4. აცილების შესახებ შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ეთიკის კომისია იმავე სხდომაზე აგრძელებს საქმის განხილვას.

მუხლი 20. დისციპლინური საქმისწარმოების შეჩერება

1. დისციპლინური საქმის წარმოება შეჩერდება, თუ:

ა) დისციპლინური საქმის ფარგლებში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სამართალდამცავ ორგანოებში მიმდინარეობს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება; ან დისციპლინური საქმის გამოკვლევისას მასალები აშკარად მიუთითებს პერსონალის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაზე. ამ შემთხვევაში, დისციპლინური საქმის მასალები ეგზავნება საგამოძიებო ორგანოს;

ბ) დისციპლინური საქმის გამოკვლევის პროცესში წარმოიშვა ისეთი ობიექტური სირთულე ან დაბრკოლება (იმ პირის ავადმყოფობა, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს დისციპლინური საქმისწარმოება, ან სხვა), რომელიც დროებით შეუძლებელს ხდის ამ საქმის განხილვას. ამ შემთხვევაში ეთიკის კომისია გადაწყვეტილებით აჩერებს დისციპლინური საქმის წარმოებას, შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრამდე, რის შესახებაც აწვდის ინფორმაციას კონსერვატორიის რექტორსა და სხვა დაინტერესებულ მხარეს;

2. პირველი ნაწილის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომპეტენტური ორგანოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრამდე, კომისია გადაწყვეტილებით აჩერებს დისციპლინური საქმის წარმოებას;
3. დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერების პერიოდი არ ჩაითვლება დისციპლინური საქმის განხილვისათვის დადგენილ 1 თვიან ვადაში.

მუხლი 21. დისციპლინური საქმის განსახილველად მომზადება

1. ეთიკის კომისია მოსამზადებელი სხდომის ფარგლებში განიხილავს საჩივრის დასაშვებობის საკითხს წინამდებარე კოდექსის მე-8 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;
2. იმ შემთხვევაში თუ, საჩივარი არ აკმაყოფილებს დასაშვებობის ყველა კრიტერიუმს ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის დაუშვებლობის შესახებ, რომელიც საბოლოოა და არ ექვემდებარება გადახედვას.
3. იმ შემთხვევაში თუ საჩივარი აკმაყოფილებს დასაშვებობის ყველა კრიტერიუმს, ეთიკის კომისია ნიშნავს საქმის განხილვის დღეს;
4. ეთიკის კომისიამ საქმის განხილვის ადგილი და დრო (დღე და საათი) დროულად უნდა აცნობოს დისციპლინური საქმის მხარეებს;
5. ეთიკის კომისია იწვევს მოწმეებსა და სხვა კომპეტენტურ პირებს საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად და აცნობებს მათ საქმის განხილვის ადგილსა და დროს.

მუხლი 22. ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვა

1. ეთიკის კომისია საქმეს განიხილავს ეთიკის კომისიის სხდომაზე, სხდომას თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე;
2. კომისიის სხდომას ხსნის კომისიის თავმჯდომარე, რომელიც აცხადებს კომისიის შემადგენლობას, მდივნის ვინაობას, ინფორმაციას თუ რომელი დისციპლინური საქმე განიხილება;

3. სხდომის მდივანი მოახსენებს კომისიას გამოცხადებულ პირთა ვინაობას, ასევე ინფორმაციას რომელიმე მხარის გამოუცხადებლობის და მისთვის კომისიის სხდომის დანიშვნის შესახებ შეტყობინების ჩაბარების თაობაზე;
4. კომისიის თავმჯდომარე განუმარტავს მხარეებს კომისიის წევრების მიმართ აცილების უფლებას. აგრეთვე, განუმარტავს მათ, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით - სრულად გამოხატონ და სათანადოდ დაიცვან თავიანთი პოზიციები, დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები, წარადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებები, დააყენონ შუამდგომლობები საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა დოკუმენტისა თუ ინფორმაციის გამოქვეყნების, გამოთხოვის, სხდომაზე დამატებითი პირების მოწვევისა და მათი ინფორმაციის მოსმენის შესახებ, აგრეთვე, განახორციელონ სხვა ღონისძიებები;
5. კომისიას უფლება აქვს სხდომაზე მოიწვიოს და საქმეში არსებული გარემოებების გამოკვლევის მიზნით შეკითხვებით მიმართოს მოწმეებსა და ექსპერტებს, ასევე მისცეს მხარეებს უფლება შეკითხვებით მიმართონ მათ;
6. კომისია მოისმენს მხარეების ახსნა-განმარტებებს და პასუხებს განხილვისას კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებზე, რის შემდეგაც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები. თუ მხარის მიერ დასმული შეკითხვა შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოებების გამოკვლევას, კომისიას შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოხსნას ასეთი შეკითხვა. კომისიის გადაწყვეტილებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია დისტანციური საშუალებების გამოყენებით (ონლაინ რეჟიმში), თუ შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება;
7. მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ, კომისია უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწმოს სადავო ფაქტებთან დაკავშირებული მტკიცებულებები. კომისიას შეუძლია შეხვდეს მხარეებს ცალკ-ცალკე და მოსთხოვოს მათ წერილობითი ახსნა-განმარტებების წარდგენა, მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების თაობაზე ან დაუსვას მხარეებს შეკითხვები. წერილობითი ახსნა-განმარტება მტკიცებულების სახით დაერთვის საქმეს;
8. კომისიის სხდომის დასასრულს, მხარეებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ შემაჯამებელი სიტყვით, რის შემდგომაც თავმჯდომარე სხდომას აცხადებს დახურულად;
9. კომისიის სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა ან გამოცხადებული მხარის უარი, მისცეს ახსნა-განმარტება, ვერ დააბრკოლებს დისციპლინური საქმის განხილვას;
10. მხარეთა თხოვნით კომისიის სხდომა და საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადით;
11. ეთიკის კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში.

მუხლი 23. ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი

1. კომისიის სხდომაზე შედგენილ ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;
2. კომისიის სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:
   ა) კომისიის სხდომის ჩატარების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი;
   ბ) კომისიის სხდომის დაწყებისა და დამთავრების დრო;

გ) ეთიკის კომისიის შემადგენლობა და სხდომის მდივანი;
დ) საქმის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი;
ე) სხდომაზე წარმოდგენილი მხარეებისა და სხვა პირების ვინაობა;
ვ) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების ახსნა-განმარტება და შეკითხვებზე პასუხი;
ზ) მოწმეთა ჩვენებები, მტკიცებულებების გამოკვლევის მონაცემები;
თ) მხარეთა შემაჯამებელი განცხადებების შენაარსი;
ი) კომისიის გადაწყვეტილებები.

3. სხდომის მიმდინარეობის ჩაწერა ასევე შესაძლებელია ელექტრონული საშუალებების გამოყენებითაც;
4. სხდომის ოქმი თან ერთვის დისციპლინურ საქმეს.

მუხლი 24. ეთიკის კომისიის დასკვნა

1. დისციპლინური საქმის განხილვის შედეგად კომისია ადგენს, ჩაიდინა თუ არა პირმა დისციპლინური გადაცდომა, ამზადებს შესაბამის დასაბუთებულ დასკვნას;
2. ეთიკის კომისიის დასკვნა დგება ეთიკის კომისიის სახელით, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით;
3. დასკვნას ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე კომისიის ყველა წევრი. კომისიის წევრის განსხვავებული აზრი, რომელიც უნდა იყოს დასაბუთებული, წერილობით დაერთვის დასკვნას;
4. კომისია დასკვნას და დისციპლინური სახდელის დაკისრების/არ დაკისრების შესახებ სარეკომენდაციო გადაწყვეტილებას წარუდგენს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
5. კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის სახის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს დარღვევის სიმძიმისა და სახდელის ურთიერთპროპორციულობისა და ადეკვატურობის პრინციპების დაცვით.

მუხლი 25. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები

1. კონსერვატორიის პერსონალის მიმართ, ეთიკის ნორმების დარღვევისათვის (გარდა „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ აქტით გათვალისწინებული დარღვევებისა) გამოიყენება კონსერვატორიის „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით“ დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები;
2. კონსერვატორიის სტუდენტის მიმართ, ეთიკის ნორმების დარღვევისათვის (გარდა „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ აქტით გათვალისწინებული დარღვევებისა) გამოიყენება კონსერვატორიის „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით“ დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები;

3. სტუდენტისა თუ პერსონალის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დასჯადი ქმედების ჩადენისას, კონსერვატორია დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;
4. ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა;
5. პასუხისმგებლობის ზომა ადეკვატური უნდა იყოს ჩადენილ არაეთიკურ ქმედებასთან მიმართებაში;
6. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების ვადაში, დაუშვებელია პერსონალის მიმართ წახალისების ფორმის გამოყენება, გარდა ამ პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნისა;
7. თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში პერსონალის მიმართ არ იქნა გამოყენებული ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, ვადის გასვლის შემდეგ იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული გადაცდომის საფუძველზე შეფარდებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობაზე.

მუხლი 26. გადაწყვეტილება

1. ეთიკის კომისიის მიერ წარდგენილი დასკვნისა და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემიური, კონცერტმაისტერის/კორრეპეტიტორის, მასწავლებლისა და მოწვეული პერსონალის მიმართ რექტორი, ხოლო კონსერვატორიის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და კონსერვატორიასთან დაკავშირებული პირების მიმართ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბრძანების ფორმით იღებს გადაწყვეტილებას:
   ა) პერსონალის ეთიკის ნორმების დამრღვევად ცნობისა და შესაბამისი სახდელის დაკისრების შესახებ;
   ბ) დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საქმის გამოკვლევის შედეგად არ დადასტურდა დისციპლინური გადაცდომის არსებობის ფაქტი, გასულია პერსონალის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა, ან პერსონალი გათავისუფლდა სამსახურიდან;
2. ბრძანება პერსონალის მიმართ გადაეცემა კონსერვატორიის ადამიანური რესურსების სამსახურს, ხოლო სტუდენტის მიმართ - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტსა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს;
3. პირს უფლება აქვს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, მიღებიდან 1 თვის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 27. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნა

1. პირის მიმართ, რომელსაც დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, შეიძლება გამოყენებული იქნას პასუხისმგებლობის მოხსნის პროცედურა. აღნიშნული არ ვრცელდება იმ პირის მიმართ, რომელიც დისციპლინური გადაცდომის გამო გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ან მას დაეკისრა სასტიკი საყვედური და თანხის დაქვითვა შრომის ანაზღაურებიდან;
2. დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ პირს - რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან/და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე, უფლება აქვს პირს ვადამდე ადრე მოუხსნას ეს პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა ან თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა პირმა;
3. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნის შესახებ, დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილი პირის მიერ გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. გადაწყვეტილების ერთი პირი ეგზავნება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ერთი გადაეცემა ეთიკის კომისიას, ერთი პირი თვით ამ პირს.

მუხლი 28. დისციპლინური საქმის წარმოება სტუდენტის მიმართ

1. სტუდენტის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს დადგენილი წესით;
2. ნებისმიერ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევასთან, განიხილავს და წყვეტს ფაკულტეტის საბჭო;
3. სტუდენტის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო პირის პერსონალური (მაიდენტიფიცირებელი) მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით;
4. სტუდენტის მიმართ ეთიკის ნორმების დარღვევის გამო გადაწყვეტილების მიღების თაობაზე შუამდგომლობა ფაკულტეტის საბჭოში დასაშვებია ეთიკის კოდექსის შესაბამისი ნორმების დარღვევიდან 06 (ექვსი) თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდგომ შუამდგომლობა და შესაბამისი დისციპლინური საქმისწარმოება არ განხორციელდება. დადგენილი ვადის აღდგენა დასაშვებია, თუ არსებობს ვადის არაბრალეულად გაშვების შემთხვევა, კერძოდ - დაუძლეველი ძალა, ავადმყოფობა, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზი ან სხვა საპატიო მიზეზი. აღნიშნული 06 (ექვსი) თვიანი ვადა არ ვრცელდება „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცებისშესახებ“ გათვალისწინებული დარღვევების მიმართ;
5. სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს; ვადის ამოწურვისთანავე სტუდენტს ეხსნება დისციპლინური პასუხისმგებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტს შეუწყდა სტატუსი;

6. სტუდენტის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა კონსერვატორიის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, კონსერვატორიის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო. სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს თავისი საქმის განხილვას;
7. დისციპლინური საქმის წარმოებისას სტუდენტს უფლება აქვს:
   ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
   ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, დაიცვას საკუთარი უფლებები დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით;
   გ) მიაწოდოს საბჭოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
   დ) მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
   ე) მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური წარმოების შესახებ საკითხი განხილული იქნეს საჯარო სხდომაზე.
8. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით, კონსერვატორიის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომელიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს ფაკულტეტის საბჭომ;
9. სტუდენტს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ფაკულტეტის საბჭოს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება 1 თვის ვადაში;
10. ამ კოდექსით გათვალისწინებული დარღვევისათვის ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ. ფაკულტეტის საბჭო სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების/არ დაკისრების თაობაზე მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც გამოსცემს შესაბამის აქტს.
11. ამ კოდექსში აღნიშნული შემთხვევების გარდა, კონსერვატორიის ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ამ კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ზომის შეფარდების შესახებ, ისეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას განეკუთვნება;
12. სტუდენტის წერილობითი გაფრთხილებიდან 12 თვის გასვლამდე ამ კოდექსით გათვალისწინებული საერთო წესების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია სტუდენტს შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი;
13. სტუდენტის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოებისა და განხილვისათვის გამოიყენება ამ კოდექსით ეთიკის კომისიის საქმიანობისათვის დადგენილი საერთო წესები.

მუხლი 29. დასკვნითი დებულებანი

1. კონსერვატორია უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები ამ კოდექსში, რაც არ უნდა ლახავდეს სტუდენტისა და პერსონალის უფლებებს და არ უნდა იწვევდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის არსის შეცვლას;
2. კონსერვატორია ვალდებულია ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე;
3. ამ კოდექსის რომელიმე დებულების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს კოდექსის სხვა მუხლების იურიდიულ ძალაზე.
4. წინამდებარე კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს კონსერვატორიის წესდებაში შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლისთანავე.

დანართი N 1

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო კონსერვატორიის

ეთიკის კომისიას

განმცხადებელის სახელი, გვარი .....

ფაქტობრივი მისამართი .....

ტელეფონის ნომერი .....

ელ. ფოსტა .....

საჩივარი

I. **საჩივრის შინაარსი**

II. **ფაქტები** *(გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ ფაქტები და მიუთითოთ ვის მიერ და ვის მისამართით განხორციელდა სავარაუდო არაეთიკური ქმედების ჩადენა. გთხოვთ მიუთითოთ ქმედების განხორციელების თარიღი, ადგილი და ვითარება).*

III. **ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები** *(გთხოვთ, წარმოადგინოთ იმ დოკუმენტების და/ან ფოტო-ვიდეო და აუდიო მასალის ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც ადასტურებს თქვენ მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს. აღნიშნული დამადასტურებელი მასალა დაურთეთ წერილს).*

IV. **მოწმეები** *(იმ შემთხვევაში, თუ აპირებთ ეთიკის კომისიაში მოწმის სახით პირის წარდგენას, რომელსაც შეუძლია დამატებითი ინფორმაციის მოწოდება ან მითითებული ფაქტების დადასტურება, გთხოვთ მიუთითოთ მოწმის/მოწმეების ვინაობა, საკონტაქტო ინფორმაცია).*

კონფიდენციალობის საკითხი

გაცნობებთ, რომ ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად დისციპლინური წარმოების პროცესი კონფიდენციალურია და დისციპლინური კოლეგიის სხდომები დახურულია.

განმცხადებლის ხელმოწერა _____

თარიღი _____